

გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო კომპლექსის ტერიტორიაზე

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
 - სამკლავიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:**
- ერთი თვით - 2 ლარი,
 - სამი თვით - 6 ლარი,
 - 6 თვით - 12 ლარი,
 - ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუცილებელია წერილები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კომპლექსი
 რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ უბისკოპოსის ქ. №3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
 «ალიონით»

ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავს შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს

ალიონი. 2017 წელს 200 წელი შეესრულა ქართული რომანტიზმის მწვერვალ, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება მოასწავებს ევროპეიზმის დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში, რაც ისტორიულად დაკავშირებული იყო სპარსული პოეზიის გავლენათა უარყოფისაგან. როგორც მოაზროვნემ და მხატვარმა ბარათაშვილმა გზა მისცა მთელ მე-19 საუკუნის ლიტერატურის განვითარებას საქართველოში. ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ ინტერესთა რკალი მეტად ფართოა, ხოლო მიზნობა მიზეზი მისი სულიერი ტკივილისა, ეროვნულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პოეტის საიუბილეო თარიღს სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია მიუძღვნეს.

კონფერენცია გახსნა სკოლის ღირე-ქტორმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **რუსუდან ცეცხლაძემ**.

კონფერენციის მონაწილე მე-11 კლასის მოსწავლეებმა **ანანო ვითუამ, ქრისტინა მაკარაძემ, მარიამ ჭავჭავაძემ, თამარ მერაბიშვილმა, თომა ჭკუასულმა, ქეთი ბოლქვაძემ, თამაზა ჭკუასულმა, თამარ კირიტიძემ, ანა მისურაძემ, ლანა მიშველაძემ, ნიკა ჩიჭოვანმა** წარმოადგინეს თემატიკური წარმოდგენები: „დიდი წინაპრის ნაკვალევზე“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები“, „1932 წლის შეთქმულება და „ტიფლისის გიმნაზიის ყვავილი“, „ვით არ ვადილო სიტუაციის დმერთა“, ანუ სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში“, „მეფე ერეკლე და ქართლის ბედის საკითხი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში“, „მაიკო ორბელიანი - ტატო ბარათაშვილის სულიერი მესაიდუმლო“, „მერანი“ და მსოფლიო



ლიტერატურის მარგალიტები“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტილისა და ენობრივ-გამოსახველობითი მხარეების შესახებ“, „ტატო ბარათაშვილის პორტრეტების ისტორიიდან“.

„ილია ჭავჭავაძე - ნ. ბარათაშვილის ნიჭის მალმერთეველი“ წარმოადგინა მე-10 კლასის მოსწავლე **მაგდა გოთუამ**. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს მხატვრულად კითხულობდნენ ლიტერატურულ საღონ „ივერიის“ წევრები: **ლუკა ასანიძე, თამაზა კვაჭანტირაძე, ნინო ტულუში, ქეთი ჯუშუბიძე, გიორგი ხითარაშვილი, ომარ ზომერიკი**.

საგალობლებს ასრულებდნენ: **ანანო ვითუა, ნინო ტულუში, მარიამ ჭავქელიძე**. კონფერენციის გარშემო თავიანთი შეფასებები წარმოიტყვეს სოფელ შრომის მასწავლებელმა დეპუტატმა **დავით ჭავჭავაძემ**, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების მთავარმა სპეციალიტმა **გურამ იობიშვილმა**, შრომის სკოლის კურსდამთავრებულმა, საქართველოს ვან-

დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში **ვასილ ზომერიკმა**, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორმა **ნუგზარ ასათიანმა**.

შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეები ხშირად აღწევენ წარმატებებს სხვადასხვა შემოქმედებით კონფერენციებში.

ახალი წლის წინა პერიოდში დაბა ხარაგოულში ჩატარდა საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის მიერ ორგანიზებული რევალუციური მემორიალის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია. შრომის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე **თომა ჭკუასულმა** კონფერენციაზე თემატიკურ თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმების კვლავიკვალ წარმოადგინა, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. თომა ჭკუასულს სპეციალური დიპლომი გადაეცა.

ახალი წლის წინა დღეებში შრომელბი ქ. ოზურგეთში, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარებს ესტუმრნენ, საჩუქრები გადასცეს და მათთან ერთად სახელდახელო კონცერტიც გამართეს.

ნიკო კეცხოველი - 120 - კვირეულის უმჯავაშეაბელი ღონისძიება დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში



სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში „ეკოკლუბი ატურეის“ წევრების მიერ გაიმართა ნიკო კეცხოველის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის უმჯავაშეაბელი ღონისძიება, სადაც ეკოკლუბის წევრებმა ისაუბრეს ნიკო კეცხოველის ბიოგრაფიაზე, მის ღვაწლზე როგორც ქართველი ბოტანიკოსზე, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეზე, საქართველოში ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთ დამაარსებელზე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელსა და აკადემიკოსზე, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახ-

ელმწიფო პრემიის ლაურეატზე, ბუნების ქიმიკსა და ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანზე, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში მოგზაურობდა. გაგვაცნეს მისი წიგნები, წაიკითხეს ამონარიდი მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნიდან „მკვრელში დაჭრილი ბუნება“. გაიხსენეს ცნობილი ადამიანების მოგონებები ნიკო კეცხოველზე. ნაჩვენები იქნა ფილმი „ანა, მურმანი, ნიკო კეცხოველი“ და დოკუმენტური ფილმი „ნიკო კეცხოველი“.

ღონისძიება გაიმართა დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბის ოთახში, რომელიც 2017 წლის 20 ნოემბერს გაიხსნა. ეკოკლუბის შექმნის ინიციატორია კაკასის გარემოსდაცვითი არასამთავრო-

ბო ორგანიზაციების ქსელი (CENN). ინიციატივა ხორციელდება „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

„სკოლა 2016 წლიდან ჩართულია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში, შარშან სკოლამ მაღალი ქულები დააგროვა გარემოს დაცვითი აქტივობების განხორციელებაში და ამიტომ ორგანიზაციამ სკოლას გაუხსნა ეკოკლუბის ოთახი თავისი ინფრასტრუქტურით, წიგნებით და ტექნიკით. ასეთი საჩუქარი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს, მომავალში მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს ვეგეგმავთ“ - აღნიშნა სკოლის დირექტორმა მედეა ობოლაძემ, რომელიც ამავე დროს ეკოკლუბის ხელმძღვანელია.

კლუბის წევრებს თანამშრომლობითი ურთიერთობა აქვთ სხვა სკოლის ეკოკლუბის წევრებთან, ესენია: ოზურგეთის 5 საჯარო სკოლის „ეკოკლუბი - ანას-ეული“, ლაითურის საჯარო სკოლის „ეკოკლუბი-მწვანე თაობა“ და ლიხაურის საჯარო სკოლის „ეკოკლუბი ლიხაური“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის „ეკოკლუბი-ლიხაურის“ წევრები, სკოლის დირექტორი ირმა მენაბდე და ბიოლოგიის მასწავლებელი მანანა გობრონიძე.

მხატვრული ფილმის „ექვთიმე ღვთისფალის“ ჩვენება სოფელ ლიხაურში

5 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურის კულტურის სახლში, ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ შექმნილი მხატვრული ფილმის „ექვთიმე ღვთისფალი“-ს პრემიერა გაიმართა.

ექვთიმე ღვთისფალის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ფილმის პირველი ჩვენება საგანგებოდ, მის მშობლიურ სოფელში დაიგეგმა.

ფილმის რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძეა, ხოლო მთავარ როლს რეზო ჩხიკიშვილი ასრულებს. გადაღებები სოფელ ლიხაურშიც მიმდინარეობდა.

პრემიერას გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, საკრებულოს დეპუტატები და ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხატვრული ფილმი „ექვთიმე ღვთისფალი“ გადაღებულია კომპანია - „დაკარგული ღვეკედლის“ საკუთარი სახსრებით, რამდენიმე ქველმოქმედი კომპანიისა და 7 000-მდე მოქალაქის დაფინანსებით.

ამ დღეს, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს ექვთიმე ღვთისფალს დაბადებიდან 155 წელი შეუსრულდა.

კონცერტი მოსაწავლე-ახალგაზრდობის სახლში



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საახალწლო ზეიმი გაიმართა. ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელმა საახალწლო ნომრები ქართულ და ინგლისურ ენაზე შეასრულეს. წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული და მხატვრული კომპოზიციები.

ბავშვებს დამდეგი ახალი წელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილების უფროსმა მაიზურ ცვლაძემ და სახლის დირექტორმა კობა ბანძელაძემ მიულოცეს.

სახლის აღსაზრდელმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის - კონსტანტინე შარაშენიძისგან საჩუქრად საღვთსაწაული ტორტი მიიღეს.

ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საესტრადო სიმღერების, კლასიკური მუსიკის, ხალხურ საკრავთა, თანამედროვე ცეკვისა და ინგლისურის ენის შემსწავლელი წრეები ფუნქციონირებს.

სამი დანაშაული, ანუ სამი წვეტი ოჯახურ დანაშაულობათა ზღვაში

თამარ მარანიშვილი

მოსდა ისე, რომ ოჯახური დანაშაულის ფაქტზე მ-ის რაიონული სასამართლოდან გამომდინარე განაჩენიან რამდენიმე ნაასაღწევს მოიყარა თავი. სამი ფაქტიდან, რომლის შესახებ ამ წერილში გვამხატავს საუბარი, ორი ნაკლებად მიიჩნევა, ერთი კი განსაკუთრებით მიიჩნევა დანაშაულად არის მიჩნეული. თუმცა, კოპიუტერის კლავიატურასთან თავმოყრილ მასალებს როცა გავხედავთ, მივხვდებით იმ დასკვნაზე, რომ ოჯახური ძალადობის არც ერთი ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნაკლებად მიიჩნევა დანაშაულად. სამწუხაროდ, ეს სამი დანაშაული სამი წვეტი ოჯახურ დანაშაულობათა პროგრესირებად ზღვაში.



„მარჯვე ნასროლი“

თუ რძალს თოფს ესვრით, ისე უნდა ესროლოთ, ნაკლებად მძიმე დაზიანებად შეაფასონ. ასეთ გასროლას, პუშკინის დავესესხე და „მარჯვე ნასროლი“ შევარქვი, ოღონდ, პოეტისგან განსხვავებით, ეს ორი სიტყვა ბრჭყალებში ჩავსვი. „ბრალდებულ ზ. დ-ეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ოჯახური დანაშაული, კერძოდ, ოჯახის წევრი მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია სსსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრ-

თელობის ხანგრძლივ მოშლასთან. მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 16 დეკემბერს, დაახლოებით 12 საათზე ო-ის რაიონის სოფელ მ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ზ. დ-ემ სანადირო თოფიდან გასროლით ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მიყენა რძალს, ტ. დ-ეს.“ – კვითხულობთ განაჩენში. ყველაფერი გასაგებია, გარდა ერთისა: თოფის გასროლით მიყენებული ჭრილობა რატომ არის ნაკლებად მძიმე, თუ იგი დაკავშირებულია ტყვიანაკვრავი ქალის ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან?!

ასეა თუ ისე ზ. დ-ის ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსსკ) 111 - 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. ჩადენილი დანაშაულის გულწრფელი აღიარებისა და აქედან გამომდინარე, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ადვოკატისაგან ოურიდული კონსულტაციის მიღების შემდეგ, ბრალდებულმა თანხმობა განაცხადა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე ბრალზე შეთანხმებით. 2014 წლის 13 მარტს ო-ის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. გ-ესა და ბრალდებულ ზ. დ-

ეს შორის (მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის გ. გ-ის მონაწილეობით) დაიდო საპროცესო შეთანხმება ბრალზე, რაც კანონით დადგენილი წესით წინასწარ იქნა შეთანხმებული ზემდგომ, ო-ის რაიონული პროკურორის მოადგილესთან. ამავე დღეს სასამართლო სხდომაზე წარდგინდა იქნა ო-ის რაიონული პროკურორის პროკურორ ი. გ-ის შუამდგომლობა ბრალდებულ ზ. დ-ესთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, შესაბამისი შუამდგომლობით. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და ზ. დ-ე, საქმის არ-

სებითი განხილვის გარეშე, ცნო დამნაშავედ სსსკ 111 - 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით, რაც სსსკ-ის 63-ე და 64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალია პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 (სამი) წელი. ვერ გეტყვით, რამდენად ადეკვატური იყო სასჯელის ზომა. ერთი კი არის: მას შემდეგ აგერ მეზუთე წელი დაიწყო და, როგორც ამბობენ, სოფელ მ-ში თოფის სროლას საახალწლო-

ნეკნიდან გაჩენილს ნეკნი არ უნდა ჩაუღიწოდ

ქალზე ძალადობა, სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც ერთ-ერთი აქტუალური თემაა. კაცობრიობის გარკვეული ნაწილი ვერა და ვერ მივიდა იმ შეგნებამდე, რომ ნეკნიდან გაჩენილს ნეკნი არ უნდა ჩაუღიწოდ. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრისადმი ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებით, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია სსსკ 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, სამართალში მიეცა

ბრალდებული ე. ფ. 2015 წლის 19 მარტს, დაახლოებით 15 საათზე ლ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ში მცხოვრებმა ე. ფ-ემ, მეუღლეს ც. ა-ს, სახლში ყოფნის დროს შელაპარაკებისას, სხეულზე ხელ-ფეხის რამდენჯერმე დარტყმით მიყენა დაზიანება გულმკერდის უკანა ზედაპირზე, ასევე მარჯვნივ მეთავე ნეკნის მოტეხილობის სახით, რამაც გამოიწვია ც. ა-ის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ხანგრძლივი მოშლით. ისევე, როგორც წინამდებარე წერილის პირველი ფაქტის შემთხვევაში

ბრალდებულ ზ. დ-ეს მსგავსად, აქაც ბრალდებულმა ე. ფ-ემ თავი სრულად დამნაშავედ ცნო, ითანამშრომლა გამოძიებასთან. 2015 წლის 15 მაისს ო-ის რაიონული პროკურორის პროკურორს მ. ნ-ეს და ბრალდებულ ე. ფ-ეს შორის, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის დ. მ-ის მონაწილეობით დაიდო საპროცესო შეთანხმება ბრალზე, რაც კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა მ. ნ-ემ იშუამდგომლა ბრალდებულ ე. ფ-ესთან დადებული საპროცე-

სო შეთანხმების დამტკიცება იმის თაობაზე, რომ ე. ფ-ე ცნობილ იქნას დამნაშავედ სსსკ 111 - 1128-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც სსსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და სსსკ-ის 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს ბრალდებულმა ე. ფ-ემ და მისი ინტერესების

დამცველმა ადვოკატმა დ. მ-ემ. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორ მ. ნ-ის შუამდგომლობა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ე. ფ დამნაშავედ ცნო სსსკ 111 - 118 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც სსსკ 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და სსსკ 64-ე მუხლის გამოყენებით გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 (ორი) წელი).

ყოფილი სიძის ფეხის დასსლტომით ყოფილი სიღმდრი სიკვდილს გადაურჩა

სასამართლოდან გამოთხოვილი მესამე განაჩენი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის არის გამოტანილი. როგორც აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ, 2013 წლის 10 სექტემბერს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სსსკ-ის 2381 -ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევი ი.პ-ა ლ-ის რაიონის სოფელ ლ-ში ატარებდა დანას. 2013 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 14 საათზე ი. პ-ა სოფელ ლ-ში შეხვდა ყოფილ მეუღლეს თ. ტ-ს და მის დედას თა ტ-ს. სამივე ფეხით გაემართა ტყის მასივისაკენ, სადაც ი. პ-ა, თავისი გადმოცემით, ინახავდა ბავშვისათვის ტანსაცმელს. გზაში თა ტ-სა და ი. პ-ას შორის, თითქოსდა ამ უკანასკნელის დედის აუგად მოხსენიების გამო, მოხდა შელაპარაკება, რა დროსაც ი. პ-ამ,

ყოფილი განაწევებული თა. ტ-ზე, ე. წ. „შორტიდან“ ამოიღო დანა და შორისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით დაედგინა თა ტ-ს და მის ხელთ არსებული დანა ხუთჯერ ჩაარტყა ზურგის არეში. თა ტ-ს დანის დარტყმის შედეგად განუვითარდა გულმკერდის ზურგის ნაწილის ნაკვეთი ჭრილობები, რომლებიც ერთობლიობაში მიეკუთვნებიან დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს. შემოდინიშნულიდან გამომდინარე, ი.პ-ას ბრალი დაედო სსსკ 19-108 მუხლითა და სსსკ 2381 -ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენისათვის. 2013 წლის 4 დეკემბრის წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხა-

რემ სადავოდ არ განადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ბრალდებულმა ი. პ-ამ უარი განაცხადა საქმის არსებითი განხილვაში მონაწილეობაზე, რაც დასტურდება სასჯელდარსებების დეპარტამენტის №2 დაწესებულებიდან გადმოგზავნილი ი. პ-ას განცხადებით, ხოლო სასამართლო სხდომაში მონაწილე ბრალდებულის ინტერესების დამცველ ადვოკატს დ. მ-ეს სადავოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის პოზიცია, რომ არ გააჩნდა თა ტ-ს მკვლელობის განზრახვა რადგან: ...განსახილველ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ჩადენილი დანაშაულის დრო, ადგილი, ვითარება, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული დამოკიდებულება.

ი. პ-ას ქმედება - ცივი იარაღით თა ტ-ის დადგენა და ხუთჯერ დანის დარტყმით სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებების მიყენება, უშუალოდ მიუთითებს თა ტ-ის სიცოცხლის მოსპობის განზრახვის არსებობაზე და ამ მიზნით განზრახვი ქმედების ჩადენაზე, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოწმის სახით დაკითხული თ. ტ-ი უთითებს კონკრეტულ საფუძველს, რის გამოც შეწყდა ი. პ-ას ქმედების ჩადენა, კერძოდ, მოწმის ჩვენებით დადგენილია, რომ ი.პ-ას ფეხი დაუცდა, წაიქცა და დანა გაუვარდა ხელიდან, რომელსაც თ. ტ-მ ჰკრა ფეხი და ბუჩქებში გადაავლო, რითაც თა ტ-ს მიეცა საშუალება, გაქცეულიყო და დახმარების სათხოვნელად მოეხმო

მოქალაქეთათვის. დაზარალებული თა. ტ-ი მოწმის სახით დაკითხვისას აგრეთვე უთითებს, რომ ქმედების შეწყვეტის შემდგომ ი. პ-ა კვლავ განაგრძობდა მის მიმართ მუქარას. ი. პ-ას განზრახვა, ჩაედინა მოცემული დანაშაული, ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი და მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეულ მტკიცებულებათა ერთობლიობითა და ურთიერთშეჯერებით. როგორც სარეზოლუციო ნაწილშია აღნიშნული, სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ 50-ე, 53-ე, 59-ე მუხლებით, სსსკ 81-ე, 258-260-ე; 268-ე, 269-ე, 271-ე, 272-ე, 273-ე, 274-ე, 277-ე, 279-ე და 293-ე მუხლებით. საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით, ი. პ-ას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის და 06 (ექვსი) თვის ვადით.

ცხოვრება ფერში, კომპოზიციაში, დეტალში

თამაზ ღარჩია - 60



თამაზ ღარჩია

ოზურგეთში, დუმბადის ქუჩაზე არის სახლი, რომელიც სამი მხატვრის კერაა, სადაც ცხოვრობდა ნიჭიერი შემოქმედი - პორტრეტისტი, ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი შოთა ღარჩია. მას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა თეატრებშიც იწვევდნენ, მაგრამ შემოქმედების ძირითადი პერიოდი ოზურგეთსა და მის თეატრს დაუკავშირა. მისი ვაჟებიც - ვია და თამაზი მამის კვალს გაჰყვნენ.

დღეს თამაზის სტუდიები ვართ. მან 1981 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია, მუშაობს პედაგოგად, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ვერ დამდგმელი, ხოლო 1999 წლიდან მთავარი მხატვარია. გაფორმებული აქვს 50 სპექტაკლი, 15 - თოჯინების თეატრში, სადაც ასევე მთავარ მხატვრად მუშაობდა. ექვსი წელიწადია არის გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

თამაზი ოჯახთან ერთად გულისად შეგვიძღვა თავის სახლსა და შემოქმედებაშიც, რომელიც ელის პროფესიონალ შემფასებელს. მან მცირე გამოფენა მოგვიწყო თავისი მრავალფეროვანი და სხვადასხვა ფანრის ნახატებით.



მეუღლის პორტრეტი

მხატვრებს ნახატების გაყიდვა არ უყვართ, მე კი მგონია, რომ საუკეთესო გზა პოპულარიზაციისა და შემოსავლებისათვისაც. თუმცა, ალბათ ბევრი ჩვენგანი ფასს ვერ შეწვდება...

თამაზის დედა, ქალბატონი შუტუ მგელაძე, მხატვართა ერთგვარი ექსპერტიცაა, მან ხომ მთელი ცხოვრება სამამაკაც მხატვარს მიუძღვნა. ამბობს, რომ ეს რთულია, თუმცა სასიამოვნო.

შუტუ მგელაძე: „მთ სულ სხვა სამყარო აქვთ, შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობ, ძალიან რთულია. ჩემმა შვილებმა, ვიამ და თამაზმა სამხატვრო აკადემია წარჩინებით დაამთავრეს. თამაზის დიპლომის დაცვაზე ვიყავით მე და ჩემი მეუღლე. ჩემს ცხოვრებაში ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. აკადემიის რექტორმა გოგი თოთიბაძემ, კათედრის გამგემ, პროფესორმა ზურაბ ლეჟავამ და დიპლომის ხელმძღვანელმა პროფესორმა ლალი ზამბახიძემ თამაზი საუკეთესო სტუდენტად დაასაიათეს, ხოლო მისი სადიპლომო ნამუშევარის გადატანა სახელმწიფო მუზეუმში მოითხოვა ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამგემ კოტე ჩოლოყაშვილმა.“

ბატონო თამაზ, დედა თქვა რომ თქვენ სულ ხატავდით, ასევე თავის ავტობიოგრაფიაში ბატონი შოთა ღარჩიაც აღნიშნავდა იგივეს საკუთარ თავზე, მაგრამ მაინც შეგვიკითხებით - როგორ აირჩიეთ მხატვრის პროფესია?

– მიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი. მართლა ბავშვობიდან ვხატავდი. ბაბუაჩემი ხარაზი იყო და აზიური ფესვსაქმელების ნაირსახეობა, რამდენიმე ჩონა-ახალუხი ჰქონდა, სიკონტრავით გამოირჩეოდა, ხშირად მომიპარავს მისთვის ტყავი შურდულებისათვის, ჩონის მორთულობაც მუდამ მინტერესებდა. ბებიებიც შესანიშნავად ქარავდნენ და კერავდნენ. ჩვენს ოჯახში ინახება მათი ნაქარავები. ალბათ, მამაც გენეტიკურად იყო მიდრეკილი ხელოვნებისაკენ და მეც მუდმივად მინტერესებდა მისი მოღებრტი, ეტიუდების რვეული. როგორც კი სამსახურში დავივალედი, მოღებრტს მივაშურებდი. მართალია, მსაყვედურობდა უწესრიგობისათვის, მაგრამ ნახატისათვის ხშირად მაქებდა.

გიაც ხელოვანია, კულტურის სახლის მხატვარია და სკოლებში პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

– არის მამის გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?

– მამა კარგი გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრალური მხატვარი და კარგი პორტრეტისტი იყო და მეც გავყვი მამის კვალს ამ მიმართულებებში საკუთარი ხელწერით. ძალიან დიდ სტიმულს მძღვეს სხვადასხვა ფანრში მუშაობა, ექსპერიმენტები. საინტერესოა თეატრში მსახიობთან, რეჟისორთან თანამშრომლობა. ძალიან ბევრ რეჟისორს შეგვხვდა და მიმუშავია. ბოლოს ახალგაზრდა რეჟისორთან მამუკა ბაბილოძესთან ერთად, შევექმენი ახალი სცენური სამყარო. თეატრი სინთეზური ხელოვნებაა და საინტერესოა ამ მხრივ. ბევრი მასალა არსებობს გრაფიკაში, შეგიძლია თავი კარგად გამოავლინო, ასევე ბევრი გამომსახველობითი საშუალება, ტექნიკა აქვს ფერწერას, პორტრეტი დიდმნიშვნელოვანია. მასში ჩემს თავსაც ვხატავ და ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ვქმნი, გადმომაქვს ფესვები, შინაგანი სამყარო.

– მხატვრობით თქვენს პიროვნებას და სათქმელს გამოხატავთ?

– მხატვარი ყოველთვის აკეთებს იმას, რაც თვითონ არის. შემოქმედი იმიტომ ჰქვია ხელოვანს, რომ ისიც ქმნის სამყაროს, ოღონდ სულის შთაბერვა არ შეუძლია და ეს არცაა საჭირო.

მინდა ყველაფერს შეგვხო და ჩემი აზრი დავუფიქსირო. ვმუშაობ გრაფიკაში, ფერწერაში, თეატრალურ მხატვრობაში, მამაჩემის გავლენით ვაკეთებდი ჭედურობას, ქანდაკებას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში მოვსინჯე ჩემი ძალები. როგორ გავართვი თავი? ამის შესახებ მირჩევენია სხვამ ისაუბროს.

– სტუდენტობა, ბოჭქემური ცხოვრება, წვერიც კი, საბჭოთა პერიოდის მიწურულს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს გამოარჩევდა, მით უფრო, რომ თქვენ ძალიან იხდენდით ასეთ ვიზუალს. ბევრი გატაცება გქონდათ? თქვენი მუშები ვინ არიან?

– ამაზე ბევრი მიფიქრია, ბევრი შემოქმედი ზეთში, ფანქარში, კალმითაც. დაოჯახების შემდეგ ჩემი მეუღლის, მანანა შავიშვილის პორტრეტებით გავამდიდრე ჩემი ფანტაზია და შემოქმედება. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს, როცა ჩემი მეუღლე თავისი, მე კი ჩემი საქმით ვარ დაკავებული. მთელი სახლი მაქვს თითქმის მოცული. შემოიღია ნებისმიერ ოთახში ვიშუშავო, ქუჩაში... სახლში, თეატრში სახელისონში, სამხატვრო სკოლაში... ეს სილაღეს მანიჭებს. ამასწინათ ოზურგეთის კინოთეატრის ფასადი მოგხატეთ მირანდა ვანიძემ, სამხატვრო სკოლის ბავშვებმა და მე. გამგულელები დადებით ემოციებს გამოხატავდნენ და ძალიან გვისიამოვნებდა. ეს ადვილი მიმზიდველი გავსა.

მხატვარი ყველგან მოახერხებს მუშაობას თუ სურვილი აქვს. მუხტი, იდეა მოდის ნებისმიერ დროს, შეიძლება გამგულეობის დამე და ესკიზი მოგხაზო. დღის შთაბეჭდილება, ემოცია ილექება და აისახება ნაწარმოებში. ნამუშევარის ფერში, კომპოზიციაში, დეტალში ბევრი რამ იღება... ამას ზოგადად სახელსაც ვარქმევთ, მაგრამ ბევრი რჩება აუხსნელი, რასაც მხატვარი იტოვებს თავისთვის.

კარგია, როცა პროფესიონალი კრიტიკოსების გარემოცვაში ხარ, უნდა გაიარო მათ მარწუხებში, მათი ნაზრევი მხატვრისათვის დადებითი მუხტის მომცემია თუ არგუნეტირებულია კრიტიკა.

– თვითრეალიზაცია, მხატვრობით საარსებო პირობების შექმნა პატარა ქალაქში რთულია და ალბათ, ამ მხრივაც მნიშვნელოვანია ოჯახის თანადგომა?

– კომერციული მხატვარი არ ვარ, დაკვეთებზე ვერ ვმუშაობ, არც ქუჩაში ჩემი ნამუშევრის გაყიდვა მიცდია. ვარჩევი სკოლაში მუშაობა ბავშვებთან, თუ კარგი სპეციალისტი არ გამოვა, კარგი შემფასებელი რომ მაინც იყოს. ზოგიერთი გამოფენაზე ისე ჩამოვიდის, თითქოს პანაშვიდზე. ამიტომ გამიზნულად ვმუშაობ სკოლაში ამ მიმართულებით. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია და ვერ შეველევი.

მანანა შავიშვილი, პედაგოგი: „უდიდესი თანადგომაა საჭირო, როცა მეუღლე გყავს მხატვარი. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ასეთი ადამიანის გვერდით დგომა. პასუხისმგებლობა ორმაგია, როცა ოჯახი ტრადიციულად არის მხატვრების. დამოუკიდებელი გიწვევს, მაგრამ უდიდესი სიამოვნებაა, როცა მეუღლის შრომის შედეგს ვხედავ. ეს რთულიცაა და უაღრესად სასიამოვნო. ხელოვანი მუდმივად ძიებაშია და იმდენად ლაღია, გულწრფელი, უკვე მეორეხარისხოვანი ხდება ეკონომიკა. სულიერება ჩრდილავს ეკონომიკას. ჩვენს ოჯახში ყველაფერი მიმართულია თამაზის თვითრეალიზაციის ხელშეწყობისათვის. ძალიან ცდილობ, მეუღლეს, შვილებს და მთელ ჩემს გარემოცვას სასიამოვნო განწყობა ჰქონდეთ.“

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?

– უსურვებდით თქვენს შვილებს მამის კვალს გამოყენებ?



მანანა შავიშვილის და მამაშვილის მხატვარი შოთა ღარჩია

თამაზი: „ხელოვანის გზა ძალიან რთულია, დიდი შემოქმედებით დაუფასებელი მიდინი ამქვეყნიდან. ფიროსმანი, ვან გოგი, მოდელიანი, გოგენი მძიმე ცხოვრებით მივიდნენ აღიარებამდე. ხელოვანი დაუფასებლობას შეგუებული უნდა იყოს. შვილების არჩევანში არ ჩავერევი. ნიჭი აქვთ, პატარებს უფრო აინტერესებდათ, ახლა გართობის პერიოდი აქვთ და მაგასაც არ ვუშლი. დმერთი ყველას თავის საქმეს აარჩევინებს. გული მეუბნება, რომ ორივე მხატვრობას მიანიჭებს უპირატესობას.“

მანანა შავიშვილი: „ვერ არჩევანი არ გაუკეთებიათ, ისე პირველ კლასში იყო საბა, როცა მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო სამხატვრო გალერეაში, ორივეს გენეტიკაში დევეს მხატვრობის ინტერესი.“

საბა, 14 წლის, მე-9 კლასის მოსწავლე: „მხატვართა ოჯახში დაბადება თავისთავად დიდი პატივია. თავიდან ვერ ვაცნობიერებდი მამის, ბაბუის, ბიძის შემოქმედების მნიშვნელობას, მათ პიროვნებას ვერ ვაფასებდი. მიხარია, რომ ასეთი ოჯახი მაყვს.“

მათე, 12 წლის, მე-7 კლასის მოსწავლე: „მეც საბას ვეთანხმები, ძალიან მახარებს ჩემი ოჯახი. მე და საბაც გავაგრძელებთ მხატვრობას...“

საბა: „თუ ამ გზას არ გავყვებით, ჩვენი პოზი იქნება. შევეცდებით, ამ ხელოვნების გზა აქ არ დამთავრდეს.“

– ალბათ წერტილი აქ უნდა დამესვა, მაგრამ ერთი შეკითხვაც - რა არის უპირატესი ადამიანის ცხოვრებაში?

– გულწრფელობა, სიყვარული, ერთგულება, სამართლიანობა, სიკეთე. ბევრი კეთილი საქმე უნდა აკეთო უანგაროდ. - მითხრა თამაზმა. - ვიზიარებ თამაზის ჩამონათვალს და დავამატებ თავისუფლებას.

– შინაგანი თავისუფლება უნდა ჰქონდეს ყველას, მაშინ მეტად ლაღი, კეთილი იქნება ყველა. ძალდატანება თრგუნავს ადამიანს. - დაამატა მანანამ. ფიროსმანის ორი ტილო გამახსენდა: ღარიბი და მდიდარი. იქნებ უადვილოდაც, მაგრამ თამაზის და მანანას დიდი შრომის შედეგი - მუდრო და კეთილმოწყობილი სახლი შინაგანად უფროა მდიდარი, აქ სიყვარული და სილამაზე ცხოვრობს. ასე მგონია, რომ სახლის წინ მალე განდგება დაფა: აქ ცხოვრობდა მხატვარი შოთა ღარჩია.

ლია პილაძე



ფიროსმანი

მატიანედ აკინძული წარსული ჟურნალისტური გადასახედიდან

წიგნი ნიკოლაიშვილი

5 იანვარს, გურიის სინამდვილეში პირ-კმელ ბაზეთი „ალიონს“ გამოცემიდან 87 წელიწადი შეუსრულდა.

გაზეთის ერთგვარ მემკვიდრედ იცნობდნენ პროფესიით ისტორიკოსს, გერმანისტ ელგუჯა შევარდნაძეს.

მკითხველი თავის დროზე მას იცნობდა, როგორც უაღრესად ნიჭიერ ჟურნალისტს.

ბატონი ელგუჯას ფრიად შთამბეჭდავი ჟურნალისტური შემოქმედებით თუ დაინტერესდებით, უწინარესად ჩვენი ქალაქისა და რაიონის კულტურული ცხოვრების თემატიკა მიიპყრობს ყურადღებას.

საგაზეთო შეკვრებად აკინძულ წერილებში სჭარბობს წერილები თეატრზე, მხატვრობაზე.

აქ მკითხველთა ყურადღებას

თემებზე, რომელიც კულტურასა და ხელოვნებას შეეხებოდა...

ქართული ხელოვნებისადმი თავანისცემამ განაპირობა, რომ ვერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, უშუალოდ ბატონი ელგუჯას ზრუნვა-მოწადინებით მოხერხდა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ელენე ახვლედიანის საღამოს მოწყობა. ეს უდიდესი სულიერი ღირებულების მქონე შეხვედრა ყოფილა ოზურგეთის სინამდვილეში. (ქალბატონი ელენე, ელგუჯას მამის, შალვას თანაკურსელი იყო). მისივე პირადი ნაცნობობითა და დამსახურებით ოზურგეთის ოზურგეთისთვის მამინ

ავშირდება ლალო გუდიაშვილის ოჯახთან მეგობრობას.

„ლალო გუდიაშვილის ოჯახში ბევრჯერ ვყოფილვარ. მისი მეუღლე ნინო მეგობარი ოზურგეთელი იყო. უყვარდა ოზურგეთელებთან და ოზურგეთთან სიახლოვე. ოზურგეთისათვის ლალოს ნახატების გადმოცემაში მას მიუძღვის უდიდესი წვლილი. მეც მარჯა მხატვრის ორი ნახატი. მათ ოჯახთან სიახლოვე და მეგობრობა ნამდვილი ბედნიერება იყო“ - შემდგომში ხშირად ივლიდა ხოლმე ჟურნალისტი.

ელგუჯა შევარდნაძის ბავშვობის ადრეული წლები დედულეთს უკავშირდებოდა (იგი სოფელ ბახეში დაიბადა), ხოლო შემდგომში მამის-ეულ სოფელ ასკანაში ცხოვრობდა. „ჩემმა მამამ შალვა შევარდნაძემ ფოთის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ძალიან კარგად ხატავდა. შემდეგ კოჯრის ბავშვთა სახლში გაანაწილეს სამუშაოდ. პედაგოგიური ტექნიკუმის დათავრების შემდეგ იქვე გაანაწილეს დედა - ანა დოლიძე. სწორედ აქ ჩავყარა საფუძველი ოჯახს, სადაც მე დავიბადე“ - ასე ხატონად და რიდი იხსენებდა ბატონი ელგუჯა ოჯახურ იდილიას.

იმდროინდელი სითბო და მშობლიური კუთხის სიყვარული ცხოვრების ბოლომდე სანუკვარ სიმბოლოდ გაჰყვა. როცა გაუსაძლისად მოეწონებოდა ხოლმე მშობლიური ასკანა და იქ გატარებული დაუვიწყარი წლები, ბავშვობის დროინდელ მოგონებათა გასაცოცხლებლად სოფელს სტუმრობდა ხოლმე...

„ძალიან ლამაზი ეზო გექონდა, ახლაც ლამაზია. ყველაფერი ორგანულადაა შეწყობილი ერთმანეთთან. მათ შორის - სამი უძველესი ნაძვი. ხშირად მივდივართ მე და ლია. მიუხედავად ჩემი ასაკისა, დღესაც შემიძლია იქ ფიზიკურად ვიმუშაო. მიყვარს დარგვა, ეზოს მოვლა. იქ



სურათზე: (მარცხნიდან) ელ. შევარდნაძე, მ. კილაძე, უკრაინელი სტუმარი, გ. ჭელიძე, ვ. ჭანუყვაძე.

თითქოს ბავშვობას, ჩემს ახალგაზრდობას ვუბრუნდები. იქ უკეთესად ვაზროვნებ“ - ხალისით ივლიდა ამაგდარი ჟურნალისტი.

მან 1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. რადგან გერმანული შესანიშნავად სცოდნია, მამამის მისთვის გერმანულის საათები დაუთმია. პარალელურად, მოსკოვში დაუმთავრებია გერმანული ენის შემსწავლელი სამწლიანი კურსი დაუსწრებლად. უდიდესი წვლილი ბატონი ელგუჯას ცხოვრების ფორმირებაში მამამისს მიუძღოდა.

„მამა საოცრად განათლებული, ნიჭიერი იყო. უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩემმა დეკანმა იასე ცინცაძემ რომ გაიგო ვისი შვილი ვიყავი, ძალიან გაუხარდა. მითხრა, რომ ის და მამა ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ. მამის მეშვეობით მქონდა ურთიერთობა ცნობილ მხატვრებთან. ამ ურთიერთობებმა ბევრი რამ დახვეწა ჩემში“.

სკოლაში მუშაობის პერიოდში აქტიურად თანამშრომლობდა რაიონული გაზეთის რედაქციასთან. იმ

დროისათვის გაზეთის რედაქტორი ვახტანგ ჯაყელი იყო. გაზეთში სხვებთან ერთად საგაზეთო საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ თამაზ სალუქვაძე, გიზო ჭელიძე, მამია კილაძე, ნუგზარ ქინქლაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ლამარა სიმონიშვილი. მალე იგი რედაქციაში მუდმივ შტატში აიყვანეს და პასუხისმგებელი მდივნის პოსტზე დანიშნეს. მერე კიდევაც დაოჯახდა ბათუმელ ექიმ-თერაპევტ ლია ძნელაძეზე. მათ ორი ქალიშვილი აღზარდეს.

ბატონი ელგუჯას ხატოვანი წერილებით გაიცნო ოზურგეთის საზოგადოებამ ცნობილი ქართველი მხატვრის დიმიტრი (დიტო) შევარდნაძის შთამბეჭდავი შემოქმედება.

„მართალია, დღეს მძიმე მდგომარეობაა ქვეყანაში, გაჭირვება აღამიანებს აუხეშებს, რადგან სულიერი ცხოვრებისთვის ნაკლებად იცლიან, მაგრამ მჯერა დადგება დრო, როცა ყველაფერი დალაგდება... ხალხი მოიცლის ხელოვნებისთვის, კულტურისთვის“ - იმედოვნებდა ამაგდარი ჟურნალისტი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შუადღის ჟამს...



გაზეთის რედაქციაში: (მარცხნიდან) ელ. შევარდნაძე, გ. ჭელიძე, ვ. ჭანუყვაძე, თ. სალუქვაძე; სხედან - ლ. სიმონიშვილი, გ. ქუთათელაძე


ასევე იპყრობს პუბლიკაციები საქვეყნოდ ცნობილ და აღიარებულ მხატვრებსა თუ მსახიობებზე, ღირსეულ თანამოქალაქეებზე...

მეხსიერებას შემორჩა ბატონი ელგუჯას ერთი ხატოვანი გამონათქვამი: „მართალია, ვწერდი პოლიტიკურ ცხოვრებაზე, სოფლის მეურნეობასა თუ მრეწველობაზე, მაგრამ ყოველთვის მერჩია მეწერა ისეთ

ლალო გუდიაშვილის ცნობილი ტილო „ბარათაშვილის პორტრეტი“ და რვა გრაფიკული ნამუშევარი გადმოუციათ, (აღნიშნული მხატვრული ტილო და გრაფიკული ნამუშევრები მამინ ოზურგეთის რაიონმასკომმა (ოთარ თენიშვილი) შეიძინა და ამჟამად ოზურგეთის სურათები გალერეაში ინახება).

ასევე, დიდი მოგონებები უკ-

წამში ჩასახლებული რიბითები და დროში ჩასახლებული წამი



„...წინ ძვირფასეულობის საგანბური მიღვეს, სიტყვის საგანბური... და როგორ მინდა, ყველა ქართველმა თუ არა, ყველა გურულმა მინც წაიკითხოს ეს წიგნი და ყველამ იცოდეს, დედის სიკვდილმა, როგორ „შეუმტვრია შვილს სტრიქონის ფერი...“ წერს თავის წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი, როგორც თავად ამბობს „ღვარჭნილ“ ქართულ სიტყვას და მით უმეტეს გურულს

მონატრებული და, რაც კრებულში საკმაოდ უხვად მოიპოვება.

100 ახალი და 10 ძველი ლექსით კვლავ ეხმარება მკითხველს პოეტი თემურ მარშანიშვილი უკვე მესამე წიგნით „ისევ წამი წამიშლის“. მისივე სიტყვებით, მისი „ჯარისკაცები“ არ ფიქრობენ „გენერლობაზე“, ან კი რატომ უნდა იფიქრონ, როცა მადლიანად მიყვლებული სიტყვათა ჯარისთვის, ჯარისკაცობა, ვფიქრობ, უფრო უპრიანია და მათი გრძობა-გონება გენერლობით გამოხატული.

სიმბოლოურია კრებულის პირველი ლექსი. ბიბლიოთეკა - წიგნის ხიბლითა და გრძობებით აღხევებით იხმობს ავტორი მკითხველს, და წამის სიტკბო-სიმწარით, მასთან ერთად მოგზაურობს ბავშვობასა თუ პირველი სიყვარულის სიზმრებში, მრავალჯერ დათოვლილსა და გაზაფხულწვეულ პლანეტაზე. პლანეტაზე, სადაც „ადრე რაც ვაი-ჭკუისგან გვეჭირდა, ახლა უჭკუობისგან გვეჭირს და ამდენი მტრობა-ლაღალათი „აქამოდ რომ მოვედით, არის გასაკვირველი“ და მაინც ამ მუქვერად მოცქიარო სამყაროში უდიდესი მოკრძალებით აღწერს პოეტი დედაშვილობისა და მამაშვილობის უდიდეს ფენომენს. „თურმე, შენ იყავ, რაც იყავ; მკარნახობდი და ვწერდი. ახლა გამშტვრდა კალამი, სტრიქონს შეეშტვრა ფერი...შენი ბუდიდან აჭრილი ცად სისწარულით ვფრენდი. უშენოდ იცი, რა მოხდა? - გულმა დატოვა

მკერდი“; „შვიდი წლის შემდეგ ვაღებ გარდერობს, შენს პიჯაკს ვირგებ, ბეჭი ამეწვა, დედის თხონას და სურვილს ვასრულებ, თორემ ამ პიჯაკს როგორ ჩავიცვამ?! შენს ჯიბეს ხელი პირველად ჩაყავ და შიგ რა ვნახე? დანა, შაური...თორივე ჩემად ვიგულე, მამი, ო, მაპატიე დანაშაული.“ დედა თუ მისი ლექსისა და ცხოვრების მუხად გამხდარა, მამის ხატება ცხოვრების გაგრძელებისა და ძლიერების სიმბოლოდ არის ქცეული. დროის მდინარეა წყაროდ მოჰყვება კრებულს, ფიქრები ფიქრებს ენაცვლება, ბავშვობას-ყრმობა. ხან ბუხრის პირად მყოფი წამ-წამ წარმავალ კადრებს აცოცხლებს და მერე ლექსებში მიუჩნის ბინას. „ტკაცუნობს ცეცხლი, -კოპიტს სჭირდება ფიჩხი ნაკლები, ნათლისღება, თრთის კალამი - ფიქრის ამკლები, ძველ ხეჭეჭურზე შემოუღიათ ჩინი-ლაკები, ფითრის თეთრ მარცვლებს შესევია ჩინჩინაკები.“

ცოტა ადრინად დაუწერია ანდერძი ბადიშვილისთვის თემურ მარშანიშვილს. თუმცა ანდერძი შეიძლება თადარიგის დროულ დაჭერად ჩაუთვალოთ, მაგრამ, ლექსის ბოლო ნაწილი (ბოლო ფრაზა წერილში არ მოგვიყვანია) მაინც ნაადრევად ვიგულეთ. „გიტოვებთ, - კარგად ჩანიშნეთ, - ღარიბი კაცის კარიბჭეს - მამულში მზეს და ვაზის ზვრებს, ცაში ვარსკვლავებს, ზღვაში შხეფს...“

შვილიშვილთა ამქვეყნად მოსვლის სისწარული ლექსშიც რომ ვერ ემალება ბა-

ბუს. ბაბუა-შვილიშვილობა ჩვენი გენის ერთ-ერთი უდიდესი სინათლე, იმ სიყვარულის, ნებისყოფის და სიბრძნის გაგრძელებაა, „ვეფხისტყაოსნით“ რომ უნდა გადაცეს თავის მოდემას და თუ კი ამ სიყვარულზე ზრუნავს ბაბუ, კარიბჭის სიყვარულისა და ვაზის ზვრის მოვლა-შზრუნველობას სადა უნდა გაეცქეს.

თუმცა სწრაფად მიექანება წუთისოფლის მატარებელი, წამებს მიყვება დრო კაცთათვის მოზომილი. ყველა გრძობა და განცდა წამში ჩასახლებული ზღაპარს შემორჩება ლამაზ, თუ სევდიან ამბად. „გვირწვეს უფალი საწუთროს ჰამაკს, იყავ, არ იყავ... შერჩები ზღაპარს.“

ამ და სხვა განცდათა მიუხედავად, მაინც ასხამს პოეტის ჯამში იმედი ღვინოს. საუკუნოვანი იუბილესკენ ეპატიეება ავტორს მანამდე კი... „მანამდე ფიჩხად ვაგროვებ, სტრიქონებს წყარს და მქუხარს, რადგან ცხოვრების აზრია, ცეცხლი არ ჩაქრეს ბუხარს...“

წიგნი ეძღვნება თემურ მარშანიშვილის დედას ფაცია მალაზონიას ხსონას. რედაქტორი რუსულად ბერიშვილი; გარეკანის მხატვრობა თამაზ დარჩია; ტექნიკური რედაქტორი კახაბერ რუსიძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა დავით კულტუბიძე; ფოტო ნინო მარშანიშვილი.

ქალაქი ოზურგეთი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №№29-32, 34, 37-40,49-50; 2017წ

რუბრიკას უძღვება მანანა მამარნიშვილი ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი



როგორც ცნობილია, ვენეციაში 1284 წელს მოჭრეს პირველად ოქროს მონეტები, რომლებზედაც გამოხატული იყო ზედწერილის შემდეგნაირი სიტყვა: „დუკატო“. დუკატოს აღმნიშვნელ ოქროს მონეტის სახელწოდებას ვენეციაზე უპირველესად XI სა-ში ვხვდებით ბიზანტიის იმპერატორების: კონსტანტინე X (1059-1067 წ.წ.) და მიხეილ VIII (1071-1078 წ.წ.) დუკას საგვარეულო სახელებთან დაკავშირებით, თუმცა, სახელწოდება მონეტისა - „დუკატო“ სათავეს იღებს არა გვარსახელ „დუკა“-დან არამედ ლათინური წარმომავლობის სიტყვებიდან - ჰერცოგი, ფეოდალური ესტიტუტული დასავლეთ ევროპაში მონეტებზე 1135 წელს აღიბეჭდა პირველად ორთავ სიცილიის სამეფოს მმართველის როფერ II - ის სახელით მოჭრილ მონეტებზე, სადაც მეფეს სახელის გვერდით მო-

თავსებული ზედწერილი გვამცნობს: „აპულიის ჰერცოგი“.

ვენეციის ოქროს დუკატი ხმარებაში შემოიღო ვენეციის დოჟმა ჯოვანი დანდოლომ (1280-1289), მისი წონა 3,559 გრამს შეადგენდა.

საქართველოში ვენეციური დუკატების განძი ნაპოვნია 1947 წელს ლეხურის ხეობაში. ახალგორსა და ხევს შუა. განძში დაცულია: ფრანჩესკო ფოსკარის (1423-1457 წ.წ.), პასკუალე მალიპეროს (1457-1462 წ.წ.), კრისტოფორო მოროს (1462-1471 წ.წ.), ანდრეა გრიტოს (1523-1539 წ.წ.), პიეტრო ლანდოს (1539-1545 წ.წ.) ოქროს მონეტები.

ოზურგეთის განძის პასკუალე ჩიკონიას ოქროს დუკატო წონით 27,95 გრამია. მონეტის შუბლზე შერწყმული წერტილოვანი რკალში გამოხატულია ფრთოსანი ლომი -

ვენეციის ღვთისმშობლისა და მუხლმოყრილი ღვთისმშობლის ხელში. მონეტის ლათინურ ზედწერილზე იკითხება: „წმინდა მარკოზი ვენეციისა, პასკუალე ჩიკონია, ჰერცოგი“.

მონეტის ზუგზე, შერწყმულ წერტილოვანი რკალში, ზღვისა და ხომალდების ფონზე გამოხატულია წმინდა იუსტინა, რომელსაც მარცხენა ხელში პალმის რტო უჭირავს; ირგვლივ მსხვილი წერტილოვანი რკალით გარშემორტყმული აქვს ლათინური ზედწერილი: „მეხსომები ქალწულო იუსტინა“.

ვენეციის დოჟის - პასკუალე ჩიკონიას სახელით მოჭრილი ვენეციური დუკატოს შემდეგ ოზურგეთის განძში დაცული იტალიური მონეტებიდან აღსანიშნავია:

ტოსკანის დიდი ჰერცოგის ფერდინანდ I მედიჩის სახელით 1606 წელს პიზის ზარაფხანაში მოჭრილი ტალერები ზედწერილით: „ფერდინანდ მედიჩი, ეტრურიის III დიდი ჰერცოგი“.

კიზიმო II მედიჩის (1608-1621 წ.წ.) სახელით მოჭრილი ვერცხლის ტალერები 1609, 1618, 1620, 1621 წლებისა ზედწერილით: „კიზიმო მედიჩი, ეტრურიის IX დიდი ჰერცოგი“.

დიდი ჰერცოგის, ფერდინანდ II მედიჩის (1621-1670 წ.წ.) სახელით მოჭრილი ვერცხლის ტალერები, 1621 წლებისა, ზედწერილით: „ფერდინანდ VI ეტრურიის V დიდი ჰერცოგი“.

ოზურგეთის განძში დაცულია ესპანური პესოების დიდი რაოდენობა - 139 ერთეული. ესპანურ პესოებს წერილობითი წყაროები პიასტრებისა და რეალების სახელწოდებით იხსენიებს.

სამბლოვიარო ბანცხალეპუბი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს №1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარ ირინა კოსტავას, მეუღლის, **ზორა მასაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს ასკანის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, დალი ვაშალომძის უსაზღვრო ტკივილის, უსაყვარლესი შვილის, **ზორა მასაძის** გარდაცვალების გამო..

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი ექიმის **ზაზა ბაბუნიას** გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი მომღერლისა და მოკრიმანჭულის, ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრის, **რეზო მასარაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ყველა მაკვანეთელი ბავშვი ჩანასახის ფაზაშივე მომღერალი და მსახიობია!



გურული მუსიკალური ფოლკლორის უღვევი საბადო — მაკვანეთი თავისი ადგილმდებარეობით, კოლორიტულობით და, რაც მთავარია ხალხით, ნამდვილად შეუდარებელი სოფელია მთელ საქართველოში. აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ყველა თაობის მაკვანეთელი თვალისჩინივით უფროხილდება სოფლის ადათ-წესს, ავტორიტეტს. იცის თავისი, როგორც მასპინძლის, ისე სტუმრის ფასი და თითო სტუმრობაზე თითოჯერ მაინც რომ არ გაგავიწყოს, ისე რა მაკვანეთელი იქნება.

როგორც მოსალოდნელი იყო, 2017 წლის მიწურულს მაკვანეთის საბავშვო ბაღმა ტრადიცია არ დაარ-

ღვია და ისეთი დიდებული სახალწლო სანახაობა მოაწყო, რომლის სრულყოფილად აღწერა არც მთლად იოლი საქმეა. ეს მართლაც ვენეციური კოლია, თორემ საიდან ამ ცეროდენებს ასეთი საოცარი იმპროვიზაციის და გარდასახვის უნარი, ან საიდან ასეთი ზავერღოვანი ხმა?! კი, დიდია აღმზრდელთა ღვაწლი, რისთვისაც ისინი ხოტბას იმსახურებენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ არანაკლებ როლს ასრულებს მეორე ფაქტორი, კერძოდ: ყველა მაკვანეთელი ბავშვი ჩანასახის ფაზაშივე მომღერალი და მსახიობია!

ბიბლიისა და საბავშვო ლიტერატურის გადაცემით, ბავშვებს დაუვი-

წყარი სახალწლო საჩუქარი გაუკეთა სოფლის ახალგაზრდა მყოფრ-იტარმა დეპუტატმა, ამავე ბაღის აღზრდილმა ბექა თოიძემ (ეს ის ბექა თოიძეა, რომელმაც ბავშვობაში თავისი მათემატიკური ნიჭით მთელი საქართველო ალაპარაკა). მანვე მოიყვანა სახალწლო ნუკებარებით სავსე ხურჯინაკიდებული თოვლის ბაბუა, რომელიც მაკვანეთელი ბავშვებით ისე მოიხიბლა, ღონისძიების დამთავრების შემდეგაც კარგა ხანს ფეხი არ მოუცვლია ბაღიდან, მიუხედავად იმისა, რომ სხვაგანაც ელოდებოდნენ. ბავშვებმაც, რასაკვირველია, ბევრი სიხალე გაივსეს მისგან და ბევრიც ისიამოვნეს.

მაკვანეთურ სახალწლო სანახაობაში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: **სოფო ბაბილოძე, ნათია ქამაშიძე, დიმა ჭანუყვაძე, მეგი ჭანუყვაძე, დავით ქორიძე, ბარბარე გოი, ვასტანგ თედელური, ელენე ბერსენაძე, ელენე ტოკლიკიშვილი, ნანა ნაცვალაძე, მათე ცეცხლაძე, ელენე თოიძე, თათა თოიძე, ნიკოლოზ ცვლაძე, ლუკა ცვლაძე, გიორგი კონტრიაძე, ანასტასია აბაშაძე, ცოტნე ნაცვალაძე, ალექსი თოიძე, ნინო ღონდღვანი, გიორგი თოიძე, ბარბარე რამიშვილი, ბექა ბექაური.**

საბავშვო ბაღის მენეჯერი — **ნინო კალანდარიშვილი**; მუსიკის მასწავლებელი — **ლია კალანდარიშვილი**; აღმზრდელები — **ნ. ანთიძე, ხ. წიფვივაძე**; აღმზრდელის თანამშემწე — **ს. ცვლაძე.**

ჭანიეთელი ბავშვები ტოლს არაპის უღებენ



სოფელ ჭანიეთის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არაერთხელ ყოფილან ჩვენი საგაზეთო პუბლიკაციების გმირები. მათ ტრადიციას ამჯერადაც არ უღალატეს და წინაახალწლო დღეებში დიდებული სანახაობა წარმოგვიდგინეს. როგორც ღონისძიებამ აჩვენა, ჭანიეთელი აღსაზრდელები ძალუმად არიან შეყვარებული როგორც თავიანთ პერსონაჟებზე, ისე დამსწრე საზოგადოებაზე. სხვათაგანდაც ასეთი სცენური სახეები არ შეიქმნება. ჭანიეთელი ბავშვები ნიჭით, გრაციულობით, რიტმულობითა თუ პარმონიულობით ტოლს არაპის უღებენ, ზოგიერთ კომპონენტში კი უკეთესებიც არიან.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: **ბარბარე თავაძე, მათე ქავთარაძე, მარინა სვანაძე, ნიკოლოზ მათოშვილი, დავით კაბანაძე, ლაშა ქოქოლაძე, ელენე ხომერიკი, ელენე თავაძე, კახა რობაქიძე, ნიკოლოზ მჭავანაძე, ანდრია შავიშვილი, მარიამ მჭავანაძე, ელენე თავაძე ეშვარის ასული, ფიქრია ცინარიძე, დათო ხურციძე.**

საბავშვო ბაღის მენეჯერი — **ნუნელი ქავთარაძე**, აღმზრდელი მასწავლებელი — **ქეთევან ლომჯარია**, აღმზრდელი II ცვლა — **ეკა მარგალიტაძე**, მუსიკის მასწავლებელი — **დარეჯან სხვიტარიძე**, აღმზრდელი თანამშემწე — **ნაირა ღღონტი.**



ბილოცავთ შობა-კალანდას!

ბისურვებით მზვიდობას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, უფლის მაღლი არ მოკლებოდეს თქვენ და სრულიად საქართველოს. სიკეთე და ბედნიერება დაგბედვოდეთ ყველას, ფუძე მამარი და ძერი მაღალი გძონებოდეთ!

ბია მამაკიშვილი

ოფურგამეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი



კვირფასო ოფურგამეთელო, ფემოქმედელელო! ბილოცავთ შობა-კალანდას!

სულითა და გულით ბილოცავთ შობა-კალანდის მოზრკანებას. ბისურვებით ჯანმრთელობას, სიყვარულს, სინარულს. იმრავლეთ და იბედნიერეთ!

ბონა აბაშაქი

ოფურგამეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მოწყობის სამსახურის უფროსი



მოგესალმებით და ბილოცავთ 2018 წლის მოზრკანებას!

სინარულისა და ბედნიერების, მოგბანი ყოფილიყოს იგი ყოველი თქმეზანისათვის, აბსდენოდეთ ყველა ოცნება, გაბგარტლედოდეთ იმედო!

ბია ჩაბანავა

ოფურგამეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ბილოცავთ შობა-კალანდას!

ბისურვებით ჯანმრთელობას, სინარულს, სიყვარულს, სიკეთეს, ბედნიერებას. დაგბედვოდეთ ნატკრის აბდენა, იმრავლეთ და იბედნიერეთ!

ბონა კილაქი

ოფურგამეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე



ბავშვთა გასართობი ცენტრი „კინოქიო“ ბილოცავთ შობა-კალანდას! გელოდებით განახლებული პროგრამით!

მისამართი: ქ. ოფურგამეთი, გურიის ქ. №5



კვირფასო ოფურგამეთელო! შპს „გზამშენი-18“ ბილოცავთ შობა-კალანდას, ბისურვებით წინსვლასა და წარმატებებს როგორც კირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მზვიდობიან გზავრობას ბისურვებით ჩვენ მიერ დაგეზულ გზებზე!



„იმპორტი-2“
ბთავავრობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აუშ, მეროკის და იაკონური (მარცხენა საჭე) სადილორო კომპანიებიდან და აუშციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: კონსულტაცია.
ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.



ძლახია «კარგო» გლოტყუთ დამდეკ შობა-ახალ წელს! ჩვენთან სამშენებლო ძასალოების, სახტექნიკისა კლექტრო საჭინლის თანოთი აჩხუჯახია

მის: ქ. ოფურგამეთი, დ. აღმავნებლის ქ. 4



გამოიწერეთ გაზეთი «ალიონი»: წლიურად - 29 ლარი 6 თვით - 14,50 ლარი; საცდლო თასი - 60 თეთრი

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +4+10 8 იანვარი ორშაბათი	მცირე წვიმა +3+8 9 იანვარი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +1+5 10 იანვარი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +4+12 11 იანვარი ხუთშაბათი	მცირე წვიმა +7+11 12 იანვარი პარაკევი	მზე, ღრუბელი +7+10 13 იანვარი შაბათი	წვიმა +4+9 14 იანვარი კვირა
--	---	---	--	--	---	--------------------------------------